საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

MIA 4 17 02509708

16/10/2017

სასწრაფო: 2017 წლის 15-17 ნოემბერს დაგეგმილი ერთობლივი ქბრბ წვრთნის შესახებ

სასწრაფო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
სსიპ-ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს

გაცნობებთ, რომ აშშ-ის მხარდაჭერითა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებით, **მიმდინარე წლის 15-17 ნოემბერს ქ. თბილისში დაგეგმილია ქბრბ სფეროში ერთობლივი უწყებათშორისი წვრთნის** ჩატარება, სახელწოდებით: "ექსპერტთა გამოცდილების გაზიარება ინციდენტების მართვის სისტემების სფეროში" (Incident Command System Subject Matter Expert Exchange). სწავლების მიზანია ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების უწყებათშორისი კოორდინაციის გაძლიერება, კომპლექსური ინციდენტების მართვისა და კონტროლის მექანიზმების დახვეწა, კრიზისული სიტუაციების დროს კომუნიკაციისა და ინფორმაციის მართვა, ინციდენტების მართვის სისტემის არსებული შესაძლებლობების ანალიზი და საჭიროებების განსაზღვრა, ასევე, აშშ-ისა და საქართველოს შესაბამის ექსპერტებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და სხვა. აღნიშნული სწავლება წარმოადგენს 2017 წლის 19-21 აპრილს, ქ. თბილისში ჩატარებული წვრთნის მორიგ ეტაპს, რომელიც განკუთვნილია მინიმუმ საშუალო რგოლის ხელმძღვანელი პირებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამერიკული მხარისთვის მიწოდების მიზნით, გთხოვთ, უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს **2017 წლის 20 ოქტომბრისა**, თანდართული ფორმის შესაბამისად, წარმოგვიდგინოთ ინფორმაცია შესაბამისი პროფილის მქონე იმ პირთა შესახებ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ წვრთნაში და აქტიურად ჩაერთვებიან გამართულ დისკუსიებში, შემდეგი რაოდენობის გათვალისწინებით: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან - **5**; თავდაცვის სამინისტროდან - **3**; სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოდან - **2**; გარემოსა და

ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოდან - **2**; საგარეო საქმეთა სამინისტროდან - **1**. ამასთან, ღონისძიებაში მონაწილეობას ასევე მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

დანართის სახით წარმოგიდგენთ წვრთნის პროგრამას, ამერიკული მხარის მიერ მოწოდებულ სცენარს ინგლისურ ენაზე და მის არაოფიციალურ თარგმანს ქართულ ენაზე, ასევე მონაწილეთა შესახებ შესავსებ ფორმას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში, საკონტაქტო პირად განსაზღვრულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი – თათია შეშელიძე (ტელ: 599 504749; ელ–ფოსტა: t.sheshelidze@ssg.gov.ge).

დანართი: იხილეთ მიბმული ფაილები (26 ფურცელი).

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი **მელანო ფანჯავიძე**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური / ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
ადმინისტრაციის უფროსი /დეპარტამენტის დირექტორი/
ფანჯავიძე მელანო